## მხარდაჭერილი სოციალური საწარმოების შედეგები და მიღწევები 2025 წელს

### ბაბალე

სოციალური საწარმო „ბაბალე“ 2015 წელს შეიქმნა. „ბაბალეს” მისიაა  დაუნის სინდრომის მქონე (დსმ) პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების გზით.

სოციალურ საწარმოში მზადდება ხის, კერამიკისა  და ტექსტილის როგორც დეკორატიული, ისე გამოყენებითი ნივთები. მასობრივი წარმოების პროდუქციიდან გამორჩეულია ბაბალეს წინდები და სამზარეულოს აქსესუარები.

“აქციოსთან” თანამშრომლობამდე “ბაბალეს” შექმნილი ჰქონდა მდგრადი ბიზნეს მოდელი, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა წარმოების პროცესში ჩაერთო დაუნის სინდრომის მქონე პირები და ამასთანავე, მიღებული შემოსავლით პერიოდულად დაეფინანსებინა დსმ პირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროგრამები.

მიღწეული სტაბილური სოციალური და ეკონომიკური შედეგებიდან გამომდინარე, „ბაბალეს“ დამფუძნებლები მიიჩნევდნენ, რომ საწარმოს აქვს მასშტაბის ზრდის პოტენციალი, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური შედეგების თვალსაზრისით. კერამიკისა და ტექსტილის წარმოების პროცესში „ბაბალე“ იყენებდა პარტნიორი კომპანიების მიერ დამზადებულ მზა მასალას (მაგ. კერამიკის ნივთები, ნაჭრის ჩანთები), რომელიც საწარმოში იხატებოდა და იფუთებოდა. „აქციოსთან“ თანამშრომლობამ კი „ბაბალეს“ სრულიად ახალი პროდუქციისა და წარმოების ადგილზე განვითარების შესაძლებლობა მისცა. საწარმოს გაფართოების შედეგად „ბაბალემ“ მოიცვა უფრო მეტი დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

**აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი:** 1-ელი მაისი, 2023

**აქციოს ფინანსური მხარდაჭერა:**

**გრანტი:** 49,915.42 ევრო

**სესხი:** 9,791 ევრო

აქციოს ფინანსური მხარდაჭერით „ბაბალემ“ გააფართოვა საქმიანობის მასშტაბი, გააუმჯობესა საწარმოს მართვის პროცესები, გაამრავალფეროვნა არსებული პროდუქტი და განავითარა სრულიად ახალი პროდუქცია და მომსახურება. შედეგად, „ბაბალეს“ შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა, რაც თავის მხრივ, აისახა მზარდ დადებით სოციალურ გავლენაში.

### მიღწევები და პროგრესი

2025 წელს ბაბალემ კიდევ უფრო განავითარა ინკლუზიური წარმოება, საგანმანათლებლო და სოციალური პროგრამები. წლის მანძილზე კერამიკის სახელოსნო სრული დატვირთვით მუშაობდა, ხოლო სამკერვალო სახელოსნომ პირველი შეკვეთები შეასრულა და საწარმო ემზადება ამ მიმართულების სრულად ამოქმედებისთვის.

2025 წელს ბაბალემ გააძლიერა ბრენდის პოზიციონირება და უფრო მრავალფეროვანი გახადა გაყიდვების არხები, განაახლა მარკეტინგული მასალები და პროდუქცია განათავსა მაღალი ხილვადობის მქონე სავაჭრო სივრცეებში, მათ შორის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დიუთი ფრისა და ჰილტონ ბათუმში. პარალელურად, ბაბალე აქტიურად მუშაობს ციფრული გაყიდვების პლატფორმების განვითარებაზე.

ბაბალემ მნიშვნელოვნად გააფართოვა საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამები. კერამიკის მასტერკლასებში ჩაერთო 1,200-ზე მეტი მონაწილე, მათ შორის სკოლის მოსწავლეები და საერთაშორისო ვიზიტორები.

მთელი წლის განმავლობაში ბაბალეში მიმდინარეობდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული მხარდაჭერის პროგრამა, რომელშიც 25 დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდა ჩაერთო. ნორვეგიის საელჩოს დახმარებით, ბაბალემ პროგრამა კიდევ უფრო დახვეწა და მოამზადა ადაპტირებული მასალები. პროგრამის მონაწილეები ეტაპობრივად ერთვებიან საწარმოო პროცესებში და საქმდებიან როგორც ბაბალეში, ისე მის გარეთ. წლის მანძილზე საწარმოში დასაქმებული იყო 21 ადამიანი, მათ შორის 5 შშმ პირი.

ბენეფიციარების ჩართულობა შემოქმედებით პროცესში ბაბალეს საქმიანობის განუყრელი კომპონენტი იყო 2025 წელსაც. დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობდნენ ახალი პროდუქციის დიზაინის შექმნაში. ამასთან, საწარმომ დანერგა სტრუქტურირებული მოხალისეობის პროგრამა და შემოიტანა დამატებითი უნარების განვითარების შესაძლებლობები, მათ შორის ინგლისური ენის კურსები.

2025 წელს ბაბალეს შემოსავალმა შეადგინა 421,483 ლარი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საწარმოს ფინანსურ მდგრადობას ტურბულენტურ გარემოში. ამას გარდა, ბაბალემ დამატებითი რესურსი მოიზიდა ქრაუდფანდინგის კამპანიის საშუალებით, რაც პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების პროგრამას მოხმარდა.

**ისტორიალი**

სოციალური საწარმო „ისტორიალი“ 2000 წელს დაფუძნდა. საწარმოს მისიაა ქართული კულტურის მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის სექტორის ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. „ისტორიალი“ სამკაულის, დეკორატიული და სასაჩუქრე პროდუქციის შექმნით, საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას აცნობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ადამიანებს.

„აქციოსთან“ თანამშრომლობამდე „ისტორიალი“ პროდუქციის ძირითად ნაწილს სხვადასხვა პარტნიორ ოსტატთან, აუთსორსზე  აწარმოებდა. ამ მოდელით მუშაობა საწარმოს არ აძლევდა წარმადობის გაზრდის და ამასთან ერთად, ხარისხის შენარჩუნების შესაძლებლობას. მიუხედავად არსებული პოტენციალისა და ბაზარზე მოთხოვნისა, სახელოსნო წარმოების გაზრდის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამასთანავე, „ისტორიალი“ ხედავდა სოციალური შედეგების გაზრდისა და გამრავალფეროვნების პოტენციალს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან ერთად, საწარმომ მიზნად დაისახა ლითონმქანდაკებლობის, როგორც უძველესი პროფესიის პოპულარიზაცია, შესატყვისი პრაქტიკის და საგანმანათლებლო მასტერკლასების შეთავაზებით.

**აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი:** 27 აპრილი, 2023

**აქციოს ფინანსური მხარდაჭერა**

**გრანტი:** 39,817.53 ევრო

**სესხი:** 10,000 ევრო

„აქციოს“ მხარდაჭერით, „ისტორიალმა“ მოაწყო საიუველირო სახელოსნო. განახლებული  სახელოსნო ისტორიალს შესაძლებლობას აძლევს, გაზარდოს ლითონის ნაკეთობების ადგილზე წარმოება, ხელი შეუწყოს ლითონზე მომუშავე ოსტატების პროფესიულ განათლებას და ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

**მიღწევები და პროგრესი:**

2025 წელს ისტორიალი სტაბილურად აწარმოებდა პროდუქციას და, პარალელურად, აქტიურად მუშაობდა საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარებაზე. საწარმომ სახელოსნოს გადაიარაღების შემდეგ სრულად აღადგინა მუშაობა და განაგრძო თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან, რის შედეგადაც 30-ზე მეტ სტუდენტს მიეცა მეტალის დამუშავების მასტერკლასებში მონაწილეობისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობა.

ისტორიალი აგრძელებს შემოქმედებით სექტორში დასაქმების ხელშეწყობას. 2025 წლის ბოლოსთვის საწარმო ასაქმებდა 5  შტატიან (მათ შორისაა სამხატვრო აკადემიის ორი ახალგაზრდა კურსდამთავრებული) და 4 მოწვეულ ოსტატს.

ისტორიალმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პროდუქტის განვითარებისა და მარკეტინგის მიმართულებითაც. 2025 წლის გაზაფხულზე თბილისისა და მამაკაცის კოლექციებს დაემატა ორი ახალი ფიგურა, კოლექციის განახლებას კი მოჰყვა პროდუქციის ციფრული კატალოგის შექმნა და აქტივობის ზრდა სოციალურ მედიაში.

2025 წელს ისტორიალის ჯამურმა შემოსავალმა 138,535 ლარი შეადგინა.

## ტენე

„ტენე“ 2021 წელს დაფუძნდა და მიზნად გარემოს პლასტმასით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა და გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება დაისახა. „ტენე“ პირველი, ქართული, USB კაბელის ეკომეგობრული საწარმოა, რომელიც წარმოების პროცესში, ერთჯერადი მოხმარების მეორად პლასტმასას იყენებს. USB კაბელების წარმოებასთან ერთად, „ტენე“ მუდმივად მუშაობს გარემოს დაცვის ხელშემწყობი ინოვაციური პროდუქტების განვითარებაზე, როგორიცაა ჭიქების კოლექტორი, ბოთლის უკუვენდინგ აპარატი და ა.შ.

წარმოების პროცესში “ტენე” პლასტმასას ბოთლების თავსახურებს იყენებს, დანარჩენ ნედლეულს კი პარტნიორ ქარხანაში აბარებს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში არ არის დანერგილი პლასტმასას სეპარირების, შეგროვებისა და გადამუშავების ერთიანი სახელმწიფო სისტემა, „ტენეს“ როლი გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირებაში განსაკუთრებით მაღალია.

გარემოსდაცვით შედეგებთან ერთად, „ტენე“ ხელს უწყობს მოწყვლადი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. „ტენეს“ ქარხანა მდებარეობს წეროვნის დევნილთა დასახლებაში და ასაქმებს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომით დაზარალებული, იძულებით გადაადგილებული პირებს.

გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის მიმართულებით ჩატარებული ცნობიერების ამაღლების კამპანიების შედეგად, პლასტმასას ჩაბარებაზე მოთხოვნა გაჩნდა არამარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც, თუმცა, „ტენეს“ თბილისიდან მოშორებით, პლასტმასას შეგროვების რესურსი არ გააჩნდა. „აქციოსა“ და „ტენეს“ პარტნიორობის მთავარ მიზნად, სწორედ, პლასტმასას შეგროვების მასშტაბის ზრდა და შეგროვების მდგრადი სქემების განვითარება ჩამოყალიბდა.

**აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი:** 28 სექტემბერი, 2023 წ.

**აქციოს ფინანსური მხარდაჭერა**

**გრანტი:** 40,000 ევრო

**სესხი:** 9,990 ევრო

„აქციოს“ მხარდაჭერით, „ტენემ“ გააფართოვა პლასტმასას შეგროვების არეალი და გაზრდა ნარჩენის შეგროვებისა და გადამუშავების რაოდენობა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო USB კაბელებისა და სხვა ახალი პროდუქტების წარმოების ზრდას. ამასთანავე, „ტენე“ აქტიურად მუშაობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე. ონლაინ და პირისპირ ჩატარებული კამპანიებითა და ღონისძიებებით, საწარმო საზოგადოებას აწოდებს ინფორმაციას ნარჩენების მართვისა და დედამიწისთვის მიყენებული ზიანის შემცირების აუცილებლობის შესახებ.

**მიღწევები და პროგრესი**

2025 წელი ტენესთვის როგორც სტაბილურობის, ისე გამოწვევებით სავსე წელი იყო. საწარმო განაგრძობს პროდუქციის განვითარებაზე მუშაობას და გარემოს დაცვის ხელშემწყობი საქმიანობების განხორციელებას. ტენეს ახალი პროდუქტი, ტელეფონის დამტენი/საკიდი, რომელსაც ამ ეტაპზე საქართველოში ანალოგი არ აქვს, უკვე იწვევს მაღალ ინტერესს ადგილობრივ ბაზარზე.

2025 წლის მანძილზე ტენემ 90,000კგ-ზე მეტი პლასტმასა შეაგროვა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. ტენე აქტიურად თანამშრომლობს სკოლებთან და ბიზნეს კომპანიებთან, რაც უზრუნველყოფს პლასტმასას შეგროვების პროცესის მდგრადობას და კიდევ უფრო მეტი ადამიანის ჩართულობას. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, ტენეს ღონისძიებები 2025 წელსაც მრავალფეროვანი იყო, როგორ ონლაინ, ისე ფიზიკურ სივრცეში.

ტენე მუდმივად ცდილობს ახალი პარტნიორების მოძიებას და საქმიანობის მათი მხარდაჭერით გაფართოებას. საწარმომ 2025 წელს პარტნიორობა დაამყარა საერთაშორისო კლინტექ კომპანია სპარკლოსთან, რომელიც ცნობილია ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული რევერსული ვენდინგ აპარატებით, სპარკლომატებით. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში ტენე ზრუნავს სპარკლოს ბრენდის პოპულარიზაციაზე, ხოლო სპარკლო ფარავს შეგროვებული

პლასტმასას ტრანსპორტირების ხარჯებს. პარტნიორობა ჯერ საწყის ეტაპზეა და მისი შედეგები შეფასებას მომავალში დაექვემდებარება.

დასაქმების მიმართულებით, ტენეში დასაქმებულია 20 ადამიანი, მათგან 9 დევნილია (IDP). 2025 წელს ტენეს ჯამურმა შემოსავალმა 711,496 ლარი შეადგინა.

**ჩემპი**

„ჩემპი“ 2016 წელს დაფუძნდა. საწარმო ზრუნავს გორის რაიონში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებაზე ინოვაციური ჯანსაღი სასუსნავების, ვაშლის ჩიფსების წარმოების გზით. „ჩემპი“ ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სოფელ დიცში და მიმდებარედ მცხოვრები ქალების დასაქმებას, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვით, ფერმერული მეურნეობების განვითარებას. ამასთანავე, საწარმო აქტიურად მუშაობს უნარჩენო წარმოების განვითარების მიმართულებით, რომლის მაგალითს „ჩემპის“ გამორჩეული პროდუქტი „ცმაცი“ წარმოადგენს.

„ჩემპი“ არის სოციალური საწარმო, რომელსაც შემუშავებული აქვს ვაშლის შრობის უნიკალური მეთოდოლოგია, რაც უზრუნველყოფს ჯანსაღი და ხრაშუნა ჩიფსისა და ტყლაპის მსგავსი პროდუქტის, „ცმაცის“ წარმოებას.

„ჩემპი“ ასაქმებს სოფელ დიცში მცხოვრებ ქალებს და თანამშრომლობს დიცსა და მიმდებარედ მცხოვრებ ფერმერებთან. საწარმოს ფუნქციონირება ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარედ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას და დიცისა და მიმდებარე სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის შემცირებას.

დაფუძნების დღიდან „ჩემპის“ წარმოებისა და გაყიდვების მაჩვენებელი იზრდებოდა, თუმცა, ბოლო წლებში, საწარმოს წარმადობა ვეღარ აკმაყოფილებდა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მოთხოვნას. წარმადობის ზრდა „ჩემპის“ განვითარების, ეკონომიკური და სოციალური შედეგების ზრდის წინაპირობად გამოიკვეთა.

**აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი:** 2 ნოემბერი, 2023 წ.

**აქციოს ფინანსური მხარდაჭერა**

**გრანტი:** 40,000 ევრო

**სესხი:** 10,000 ევრო

„აქციოს“ ფინანსური მხარდაჭერით, „ჩემპიმ“ გადააიარაღა საწარმო და გაზარდა წარმადობა, რაც მის შემოსავლებსა და სოციალურ შედეგებზე საგრძნობლად აისახა.

**მიღწევები და პროგრესი**

2025 წელს ჩემპიმ მნიშვნელოვანი ზრდა აჩვენა წარმოების, ბაზრის ათვისების, სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენის მიმართულებით.

2025 წელს, აქციოს ტექნიკური მხარდაჭერით, ჩემპიმ გაუმჯობესა შეფუთვა და შეიმუშავა ახალი სარეკლამო მასალები. შედარებით ახალმა პროდუქტმა, “ვაშლის ჩიფსის ენერჯი მიქსმა”, პოპულარობა მოიპოვა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. ადგილობრივ ბაზარზე ჩემპიმ პარტნიორობა

განავითარა ისეთ კერძო სკოლებთან, როგორებიცაა ევროპული სკოლა, შავნაბადა, ჯეჯილი, ლოგოსი, აიბი მთიები, მწიგნობართუხუცესი, მწვანე სკოლა, ახალი თაობა და სხვ. დამატებით, საწარმომ კორპორატიული გაყიდვების მიმართულებით თანამშრომლობა დაიწყო "ლაიონ აუქციონთან". 2025 წელს ჩემპიმ მეტი ყურადღება დაუთმო ონლაინ გაყიდვების გაძლიერებას და ჩიფსის "საოჯახო ყუთის" კონცეფციის შემოტანით, წარმატებასაც მიაღწია.

საერთაშორისო დონეზე, საწარმომ პროდუქცია გაგზავნა კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამასთანავე, ჩემპი მუშაობს საკუთარი ბრენდირებული მაღაზიის გაშვებაზე Amazon.com-სა და Amazon.de-ზე.

წლის მანძილზე საწარმომ შეინარჩუნა დასაქმების სტაბილური  მაჩვენებელი. ამჟამად ჩემპი ასაქმებს 13 ქალს და თანამშრომლობს 12 ადგილობრივ ფერმერთან. ამასთან ერთად, ჩემპი დაეხმარა 3 დაბალშემოსავლიან ფერმერს ნედლეულის გადამუშავებაში მინიმალურ ფასად. გარემოსდაცვითი გავლენის თვალსაზრისით, წლის განმავლობაში საწარმოში გადამუშავდა 4.5 ტონა ვაშლის ნარჩენი, რაც ნულოვანი ნარჩენის მქონე წარმოების მოდელის განვითარებისკენ  გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

2025 წელს საწარმოს შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა და 241,820.50 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 43%-ით აღემატება.

**დადარი**

სოციალური საწარმო "დადარი" 2018 წელს შეიქმნა. „დადარი" ზრუნავს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და იძულებით გადაადგილებული პირების პროფესიულ განვითარებასა და დასაქმების ხელშეწყობაზე. „დადარი" ამზადებს ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, ხის ხელნაკეთ სათამაშოებს, რომელთაც სიხარული მოაქვს, როგორც პატარებისთვის, ისე ზრდასრულებისთვის.

„დადარის" საწარმოები მდებარეობს თბილისსა და ზუგდიდში, ხოლო შექმნილი სათამაშოები იყიდება როგორც საქართველოს, ისე ევროპის ბაზარზე. ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოების მიმართ მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დადარს ესაჭიროებოდა საწარმოს გადაიარაღება და გაყიდვების ახალი არხების ათვისება. ამასთანავე, სოციალურ საწარმოს ჰყავს გადამზადებული ადამიანები, რომელთა დასაქმება, საქმიანობის გაფართოების გარეშე არ იყო შესაძლებელი.  "აქციოსა" და "დადარის" პარტნიორობა სწორედ ამ მიზნების გარშემო დაიწყო და მოიცავს როგორც ბიზნესის განვითარებას, ისე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების ეკონომიკურ გაძლიერებას.

**აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი:** 8 ნოემბერი, 2024 წ.

**აქციოს ფინანსური მხარდაჭერა**

**გრანტი:** 37,492 ევრო

**სესხი:** 4,731 ევრო

„აქციოს" ინვესტიცია „დადარს" ეკონომიკური საქმიანობისა და სოციალური გავლენის მასშტაბების ზრდის შესაძლებლობას მისცემს. ფინანსური

მხარდაჭერის ფარგლებში „დადარი“ დაეხმარება სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებს პროფესიული და სოციალური უნარების განვითარებასა და სტაბილური დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების შექმნაში.

## მიღწევები და პროგრესი

2025 წელს დადარმა მნიშვნელოვან პროგრესი აჩვენა წარმოების გაფართოების, ახალი ბაზრების ათვისების და სოციალური გავლენის მიმართულებით. წლის მანძილზე დადარმა გადააიარაღა საწარმო, გააფართოვა ადგილობრივი გაყიდვების არხები და გააძლიერა გუნდი.

დადარის მიღწევებიდან განსაკუთრებით ხაზგასასმელია ახალი პარტნიორული ურთიერთობები საერთაშორისო დონეზე. “შფილვარენმესეში”, მსოფლიოში უმსხვილეს სათამაშოების გამოფენაში, მონაწილეობის შედეგად დადარმა გამართა 40-ზე მეტი B2B შეხვედრა და საფუძველი დაუდო ახალ თანამშრომლობებს პოტენციურ პარტნიორებთან ბერმუდიდან, გერმანიიდან (HOLZVIECHERL) და უნგრეთიდან (Juharka). ამ უკანასკნელთნ უკვე გაფორმდა ერთწლიანი ხელშეკრულება, რომელიც ყოველთვიურ შეკვეთებს მოიცავს. საწარმომ ასევე გააგრძელა და გააფართოვა თანამშრომლობა არსებულ ევროპელ პარტნიორებთან, მათ შორის HolzWald-თან (გერმანია) და Moar Gut-თან (ავსტრია). ჯამში, დადარმა შეიმუშავა 12 ახალი პროდუქტის მოდელი, რომელთა უმეტესობის წარმოება უკვე დაიწყო.

აქციოს მხარდაჭერით, დადარმა მოახერხა ადგილობრივ ბაზარზე საცალო გაყიდვების მიმართულების გაძლიერება და გაყიდვების არხების დივერსიფიცირება. ველი სთორთან და ესკისთან თანამშრომლობის პარალელურად, საწარმომ გახსნა ორი ბრენდირებული სავაჭრო სივრცე თბილისში, ჰუალინგისა და ისთ ფოინთი მოლებში, ასევე მიიღო შეკვეთები კორპორაციული და საჯარო სექტორებიდან.

ფინანსური თვალსაზრისით, დადარმა მნიშვნელოვანი ზრდა აჩვენა. 2025 წლის ჯამურმა შემოსავალმა 286,244 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 30.31%-ით აღემატება. ამასთანავე, გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა 12-დან 16-მდე, მათ შორის ორი ახალი თანამშრომელი იძულებით გადაადგილებული პირია.

საერთო ჯამში, 2025 წელი დადარისთვის იყო მასშტაბირების წელი, რომელიც გამოირჩეოდა საერთაშორისო პარტნიორობების გაფართოებით, წარმოების ზრდით, გაყიდვების არხების დივერსიფიკაციით და სოციალური გავლენის გაძლიერებით დასაქმებისა და უნარების განვითარების მიმართულებით.

## დედიკო

სოციალური საწარმო „დედიკო“  2021 წელს დაფუძნდა ფონდ „კონსტანტანტას“ მიერ. “დედიკო”  მარტოხელა დედებს და მშობლებზე მზრუნველ ქალებს ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას სთავაზობს დასაქმების, ახალი პროფესიის დაუფლებისა  და პიროვნული განვითარების გზით.

“დედიკოს” შექმნის იდეა კოვიდ-19 პანდემიის დაწყების შემდეგ გაჩნდა, როდესაც პანდემიის შედეგად გამოწვეული კრიზისი საზოგადოების თითქმის ყველა ფენას შეეხო, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველ ჯგუფებს. ამ კრიზისმა ორმაგად იმოქმედა მარტოხელა დედებზე, რადგან პრობლემებთან გამკლავება მეტწილად მარტო უწევდათ. “დედიკომ” მარტოხელა დედებს ახალი პროფესიის შეძენასა და

დასაქმებასთან ერთად, საჭიროებებზე მორგებული სამუშო გრაფიკი და გარემო შესათავაზა. 2024 წელს "დედიკომ" გააფართოვა მიზნობრივი ჯგუფი და დაიწყო შუა ხნის ქალებზე ზრუნვა, რომლებიც ასაკოვან ან შრომისუუნარო მშობლებს უვლიან. მათ დასაქმების და შესაბამისად, შემოსავლის მიღების ძალიან მწირი არჩევანი აქვთ, მატერიალური და ფსიქოლოგიური ტვირთი კი ძალიან დიდი.

**აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი:** 12 დეკემბერი, 2024 წ.

**აქციოს ფინანსური მხარდაჭერა**

**გრანტი:** 31,600 ევრო

**სესხი:** 10,000 ევრო

იმისათვის, რომ „დედიკომ" უფრო მეტი ქალის დასაქმებასა და გაძლიერებას შეუწყოს ხელი, საწარმოს ესაჭიროებოდა პროდუქციის განვითარება და წარმადობის გაზრდა, გაყიდვების არხების გამრავალფეროვნება და აქტიური მარკეტინგული კამპანიის წარმოება. „აქციოსა" და „დედიკოს" პარტნიორობა სწორედ ამ მიზნების გარშემო დაიწყო.

**მიღწევები და პროგრესი**

2025 წელს დედიკოს ძალისხმევა მიმართული იყო პროდუქციის განვითარებაზე, ბრენდის ცნობადობის ზრდასა და ბაზრის მეტად ათვისებაზე. პარალელურად, საწარმო აგრძელებდა სოციალური მიმართულებით მუშაობას, რაც მოწყვლადი ქალების ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერასა და დასაქმებას მოიცავს.

დედიკოსთვის წლის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ახალი პროდუქციის ხაზის, "მზრუნველის", გაშვება, რომელიც ზრუნვას, სითბოს და სიყვარულს ჩუქნის მომხმარებელს. ახალი პროდუქციის წარმოებას თან ახლდა მასშტაბური მარკეტინგული კამპანია, რომელიც მოიცავდა პროფესიონალურ ვიზუალურ მასალებს, ინფლუენსერებთან თანამშრომლობას და მედია გაშუქებას.

გაყიდვების სტიმულირების მიზნით საწარმომ შექმნა ელექტრონული კომერციის ვებგვერდი www.dediko.ge და გააააქტიურა მარკეტინგი ელექტრონული ფოსტით, რამაც მომხმარებელთა ჩართულობის ზრდას შეუწყო ხელი. დედიკომ  აქტიურად იმუშავა კორპორაციული გაყიდვების მიმართულებით და მიიღო შეკვეთები ისეთი კომპანიებისგან, როგორებიცაა მეტროპოლ მენეჯმენტი და მიკრობანკი ემბისი.

დედიკო წლის განმავლობაში ასაქმებდა 6 ქალს, მათ შორის ისეთი მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს, როგორებიც არიან მარტოხელა დედები და მზრუნველები. 2025 წელს Dediko-ის ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა 23,905 ლარი. საერთო ჯამში, 2025 წელი დედიკოსთვის კონსოლიდაციის წელი იყო, რომელიც გამოირჩეოდა გაძლიერებული მარკეტინგული აქტივობებით, დივერსიფიცირებული გაყიდვების არხებით და მოწყვლადი ქალების დასაქმების მიმართ უწყვეტი ერთგულებით.